№2703 2015 წლის 14 დეკემბერი ქ. თბილისი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

ა) საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის 9 დეკემბრის №09/12/01 განკარგულებით, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის რიგგარეშე არჩევნები დაინიშნა 2016 წლის 28 იანვარს;

ბ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015 წლის 9 დეკემბრის №61/2015 დადგენილების დანართის თანახმად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის რიგგარეშე არჩევნების ხარჯთაღრიცხვის ჯამური მოცულობა შეადგენს 765 000 (შვიდას სამოცდახუთი ათასი) ლარს.

2. უფლება მიეცეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში:

ა) 2015 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად მიმართოს „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 8 აპრილის №713 და „საქართველოს

ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 სექტემბრის №1885 განკარგულებებით გამოყოფილ და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის განსაზღვრულ ასიგნებებში არსებული რესურსი;

ბ) 2016 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად, მიმართოს წლიური საბიუჯეტო კანონით მისთვის განსაზღვრული ასიგნებები.

3. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, კანონმდებლობით დადგენილი წესით და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინადადების საფუძველზე, 2016 წელს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გამოუყოს შესაბამისი თანხები, ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიმართული სახსრების გათვალისწინებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**